ოპოზიცია ეკონომიკურ კრიზისს ვერ გამოიწვევდა – რუსთაველის პროსპექტზე არც ფაბრიკებია და არც ქარხნები...

გაზეთი "საერთო გაზეთი" – 10 ივნისი, № 23, 2009.

დღევანდელი პოლიტიკური კრიზისი, როგორ ეკონომიკურ კრიზისში გადაიზრდება, ჯერჯერობით გაურკვეველია. ფაქტია, რომ ამ გზების ძიებაზე დღეს არც ერთი მხარე არ ფიქრობს და მხოლოდ დროის გაყვანის პოლიტიკით კმაყოფილდებიან.

რომ არა აგვისტოს აგრესიის შემდგომ მიღებული დახმარებები, ალბათ ქვეყანა დღემდეც ვერ მოაღწევდა. როგორ განვითარდება შემდგომში სიტუაცია, რას უნდა ველოდოთ, შევძლებთ კრიზისის დაძლევას, ამ კითხვებზე გვიპასუხებს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ექსპერტი – ბატონი ლადო პაპავა.

– ბატონო ლადო, ბატონი პრეზიდენტი თითქმის ყველა „რაიონულ" შეხვედრაზე, რომელსაც დღეს ის მთელ საქართველოში აწარმოებს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელ მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია, მდგომარეობა სავალალოა, მხოლოდ საქართველოს ეკონომიკა არ „ჩამოიშალა" ის სტაბილური და განვითარებადია, როგორც ექსპერტი, თქვენც ასე ფიქრობთ?

– დავიწყოთ იქიდან, რომ ეს კრიზისი გუშინ არ შექმნილა, ის ყალიბდებოდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში და რომ არა რუსეთის აგრესია, საქართველო საერთაშორისო დახმარებას ვერ მიიღებდა, და ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა. გასული წლის 22 ოქტომრის ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოს მიეცა დახმარება, რომლის საფუძველზეც ჩვენი ეკონომიკა არ დაინგრა და დღეს მან არსებობა შეძლო. ეს არის მიზეზი ეკონომიკის გადარჩენისა. თუმცა, ხელისუფლება ყოველთვის აცხადებდა, რომ კრიზისი არის სადღაც შორს და ის საქართველოში ჯერ არ შემოსულაო.

დღეს ვითარება ცოტა შეიცვალა. ხელისუფლება აცხადებს, რომ ეკონომიკური კრიზისი ქვეყანაშიც გაჩნდა, და ამის მიზეზი არის ოპოზიცია, ამიტომაც არის მოსალოდნელიო 1,5 პროცენტიანი კლება ეკონომიკაში. ჯერ ერთი ეს კლება ეკონომიკაში აპრილის თავიდან არ დაწყებულა, ანუ მიტინგებისა და აქციების დროიდან, და ამის თაობაზე დაიდო კიდეც ის ციფრები, რომელიც წლის პირველ კვარტალში განვითარდა, ანუ მიტინგები ეკონომიკური ვარდნის მიზეზი არ ყოფილა. მეორეც, ოპოზიციის მიტინგები და აქციები ძირითადად მიმდინარეობს თბილისში და ისიც პარლამენტის წინ, ჩვენ კი ვიცით რომ იქ ქარხნები და ფაბრიკები არ მდებარეობს, რომ მუშაობა შეაჩერონ. ამდენად, ეს მიზეზი არ გახლავთ. აქედან ჩანს რომ ხელისუფლება ზოგჯერ ციფრებით მანიპულირებს, ზოგჯერ აქციებით.

სინამდვილეში სხვა რამ ხდება. ფაქტია, რომ არასტაბილურ გარემოში არავინ არ ფიქრობს წარმოების გაფართოებაზე, პირველ რიგში ხელისუფლება, იმიტომ აღიარებს კრიზისის არსებობას, რომ ოპოზიციას დაბრალდეს და მეორე კი ის, რომ მისი დამალვა უკვე შეუძლებელია. აქ მე მახსენდება ერთი მწარე ხუმრობა – ბრმას ცოლი რომ მოუკვდება და არ ვუთხრათო, მაგრამ გვერდზე რომ არ მიუწვება, ხომ იკითხავს სად არისო. ბოლოს ხომ მაინც მოუხდა მთავრობას კრიზისის აღიარება: საგადასახადო შემოსვლების გეგმა ვერ შესრულდა. ფაქტია, რომ ქვეყანაში არის ეკონომიკური პრობლემები. ერთი მხრივ ხელისუფლება იძულებული გახდა ეღიარებინა ეს კრიზისი, ხოლო მეორე მხრივ სურს ყველაფერი ოპოზიციას გადააბრალოს.

– ბოლო დროს ხშირად აჩვენებენ ტელევიზიით, ძირითადად რაიონებში პატარა საწარმოების გახსნას, აქვთ მათ რაიმე ეკონომიკური პოტენციალი ისეთი, რომელიც ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე იმოქმედებს?

– ნებისმიერი, თუნდაც მცირე ზომის წარმოების გახსნა ფაქტობრივად არის პოზიტივი რა თქმა უნდა, უნდა გავმიჯნოთ რეალური ეკონომიკური სიტუაცია პიარისაგან. ხშირად ვყოფილვართ იმის მოწმე, რომ ხელისუფლებას ერთი და იგივე წარმოება რამოდენიმეჯერ გაუხსნია, რამოდენიმეჯერ გაუჭრია ლენტი.

– ეს როგორ ხდება, წარმოება დაიხურება და მერე ისევ ამოქმედდება?

– არა, უბრალოდ, ერთი და იგივე საწარმოს რამოდენიმეჯერ ხსნიან. დღეს ჩვენ მთელი ქვეყანა ამ პიარში ვცხოვრობთ. ბოლო 6 წლის განმავლობაში პიარი არის მთავარი ინსტრუმენტი მთავრობის ხელში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ის ინვესტიციები, რომლებიც ქვეყანაში შემოდიოდა ეკონომიკის რეალურად სექტორში თითქმის არ ჩადებულა, ის ჩაიდო უძრავ ქონებაში. ამითი კი რეალური ეკონომიკა ფეხზე არ დგება.

– დღეს მოსახლეობაში, კერძოდ პენსიონერებში გაჩნდა შიში იმისა, რომ ბიუჯეტში ფული არ არის, ამიტომ ისინი ივნისის თვიდან პენსიებს ვერ მიიღებენ. ამაზე რას იტყვით?

– ეს შიში უსაფუძვლოა, ამის საფრთხე არ არსებობს იმიტომ, რომ ბიუჯეტში ჯერჯერობით არ არის ისეთი გარღვევა, რომ ის კატასტროფული იყოს. თუმცა, არის ერთი პრობლემა, რომ იმ თანხებს, რომლებსაც ქვეყანა იღებს დახმარების სახით, სჭირდებათ ბიუჯეტში ასახვა. ნაწილი უკვე ასახულია. მაგრამ ბოლოს რაც წამოვიდა, ის არ არის დაფიქსირებული. ამიტომ საჭიროა ამ თანხების გამოყენებისათვის, ბიუჯეტში შევიდეს ცვლილებები და ბიუჯეტი დამტკიცდეს, ამიტომ პარლამენტის შეკრება, ცვლილებების შეტანა და ბიუჯეტის დამტკიცება – ეს აუცილებელია.

– კარგით, მაგრამ პარლამენტი რომ დაკეტილია და არ მუშაობენ?

– მე მაგალითად მოვუსმინე ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს და ამას სხვებიც ამბობენ, რომ ისინი პარლამენტის მუშაობას ხელს არ შეულიან, ხელისუფლებას შეუძლია ამ შენობაში შესვლა და მუშაობა მიუხედავად აქციებისა. ისინი პროტესტს აცხადებენ, მაგრამ მუშაობას არ უკრძალავენ. პიკეტირება ხდება იმიტომ, რომ მათ დაინახონ ის, თუ რას ფიქრობს მათზე ხალხი, მაგრამ შეკრებით უნდა შეიკრიბონ და იმუშაონ. ოპოზიციას რომ ჰქონოდა რაიმე აგრესიული სურვილი, ისინი ამას აქამდე გააკეთებდნენ. ამიტომ ისინი მხოლოდ მშვიდობიან პროტესტს გამოხატავენ მათ მიმართ.

– ბატონო ლადო, დღესდღეობით პარლამენტარები შენობაში შესვლას არ აპირებენ, არც არაფერს ამბობენ, თუ ეს პროცესი ასე გაგრძელდა ზაფხულში ალბათ არდადეგებს მოიწყობენ და ქვეყანას რა ეშველება?

მე არ მინდა ვიფიქროთ, რომ ისინი მაგ სცენარით გააგრძელებენ ქმედებებს და კანონში და ბიუჯეტში გარდაუვალ ცვლილებებს არ შეიტანენ. ეს ქვეყნისათვის დამღუპველი შეიძლება აღმოჩნდეს. თუ მაინცდამაინც ამ შენობაში არ უნდათ შესვლა, სხვა შენობა მოძებნონ და იქ იმუშაონ.

ვფიქრობთ ხელისუფლებას ეყოფა გონიერება იმისა, რომ შემოდგომამდე ქვეყანა კატასტროფამდე არ მიიყვანოს. და არც ჩვენი უცხოელი პარტნიორები არ მისცემენ მათ ამის უფლებას. ამჯერად, ჩვენ გარკვეული ეკონომიკური რესურსი გაგვაჩნია და მას სჭირდება გონივრული გამოყენება. უგუნურება

იქნება ხელისუფლების მხრიდან, თუ ის დიქტატორულ ქმედებებზე გადავა, ასევე უგუნური იქნება ოპოზიციის მხრიდან ქმედება, თუ ისინი რკინიგზას გადაკეტავენ, მაგისტრალებისა და აეროპორტის ბლოკირებას მიმართავენ. ეს გზა ჩვენ უკვე გავიარეთ და ეს უდიდესი შეცდომა იქნება.

– დღეს უკვე ხშირად ლაპარაკობენ შემოდგომაზე ანუ რამოდენიმე თვეში მოსალოდნელ არჩევნებზე. ის ბევრ პოლიტიკოსს დღეს რეალური ეჩვენება და ამისთვის მზადაც არიან, თქვენ როგორ ფიქრობთ, შესძლებს ამას ქვეყანა?

– დღეს მე ეს არარეალურად მიმაჩნია, იმიტომ რომ არჩევნები ამავე მთავრობის ხელში და იგივე საარჩევნო კომისიის შემადგენლობით კვლავ გაყალბებული იქნება.

იმისათვის, რომ ახალი არჩევნები ჩატარდეს საჭიროა საარჩევნო კოდექსის შეცვლა, საარჩევნო კომისიის შეცვლა და კოალიციური მთავრობის შექმნა. მთავრობის მხრიდან ამ სურვილს ვერ ვხედავ. ეს არის ხალხის სურვილი მხოლოდ. ხალხი ხანდახან თავს თავად იტყუებს სამწუხაროდ.

– ამბობენ, რომ 2010 წლიდან მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი განიმუხტება, ჩვენთან როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?

– ჩვენ იმდენად არაპროგნოზირებადი ხელისუფლება გვყავს, რომ რაიმეს წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. მითუმეტეს ისეთ გარემოში, რაც აქ ხდება დღეს. ეს არის არაპროფესიონალი მთავრობა. ის რომ ბენდუქიძე მთავრობიდან წავიდაო, ას ტყუილია. მას კანცელარიაში თავისი კაბინეტი შენარჩუნებული აქვს, თანაც თავისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, მან შექმნა „ბენდუკების“ ფართო ქსელი, რომელიც შედგება ამბიციური და გაუნათლებელი ადამიანებისაგან, ისინი მოდებული არიან ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში და განაგრძობენ მუშაობას. ამიტომ მას სულაც არ სჭირდება სახელმწიფო სამსახური. „ბენდუკები“ სწორედ ის მარიონეტები არიან, რომლებიც მის დავალებებს ასრულებენ.

დასკვნის სახით, ერთი შემიძლია მხოლოდ ვთქვა, ქვეყანას იხსნის გონიერება.

ეთერ კასრელიშვილი